



# კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, III-IV კლასი, N4

## დასაინჟინო შუახაზანი ენდოზავი

### ალმოჩენა არგენტინაში

სიმაღლე – 9 მეტრი, სხეულის სიგრძე – 26 მეტრი, წონა – ცხრა სპილოზე მეტი... შენი აზრით, რა შეიძლება იყოს ეს? რა თქმა უნდა, უზარმაზარი დინოზავრი. ის არგენტინაში აღმოაჩინეს და სახელად **დრედნოთი** შეარქვეს, რაც „უშიშარს“ ნიშნავს.

ეს გიგანტური დინოზავრი 75 მილიონი წლის წინ ბინადრობდა დედამიწაზე. ფიქრობენ, რომ ის ხმელეთის ერთ-ერთი უდიდესი ცხოველია, რომელსაც ოდესმე უცხოვრია ჩვენს პლანეტაზე.

დღეს ხმელეთის ყველაზე დიდი ცხოველი აფრიკული სპილოა. ის, დაახლოებით, 7 ტონას იწონის. ზოგადად, დედამიწის ცხოველებიდან კი ყველაზე დიდი ლურჯი ვეშაპია. მისი სხეულის მასა, დაახლოებით, 150 ტონას უდრის, სხეულის სიგრძე 33 მეტრია.

„დრედნოთი უზარმაზარი იყო და მის გარემოში, ალბათ, არაფერი იქნებოდა ისეთი, რაც თავს დაესხმოდა. მასზე თავდასხმა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო,“ – წერს დინოზავრის აღმომჩენი **კენეთ ლაკოვარა**. სწორედ ამიტომ დაარქვა მან დინოზავრს „უშიშარი“. კიდევ იმიტომ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში სწორედ ეს სახელი ერქვა ერთ-ერთ უძლიერეს სამხედრო ხომალდს.

დრედნოთი ტიტანოზავრთა ოჯახს მიეკუთვნება. ამ ოჯახის წარმომადგენლებს ჰქონდათ გრძელი კისერი, ძლიერი კუდი, პატარა თავი და მაღალი, მსხვილი ფეხები. ტიტანოზავრების ოჯახის ერთ-ერთი წევრია ბრაქიოზავრიც, რომელიც 34000 კილოგრამს იწონიდა. თუმცა, ახალაღმოჩენილ დრედნოთთან შედარებით, ეს გიგანტიც კი ცეროდენად მოჩანს. დრედნოთი ბალახისმჭამელი დინოზავრი იყო. ბალახისმჭამელები მტაცებლებ-



თან შედარებით ზანტად მოძრაობდნენ. მაგრამ ისინი ბევრად უფრო დიდი ზომის იყვნენ, ვიდრე ხორცისმჭამელი დინოზავრები. ბალახისმჭამელებს არ ჰქონდათ დიდი და ბასრი კბილები. მათი მთავარი თავდაცვითი საშუალება სხეულის ზომა და ძლიერი კუდი იყო.

დრექსელის უნივერსიტეტის **პალეონტოლოგმა**, დოქტორმა კენეთ ლაკოვარამ დინოზავრის ახალი სახეობა ჯერ კიდევ 2005 წელს აღმოაჩინა. ის ცხრა წელი მუშაობდა საკუთარ აღმოჩენაზე. 2014 წლის სექტემბერში კი გამოაქვეყნა კვლევა დრედნოთის შესახებ.

**პალეონტოლოგი** – მეცნიერი, რომელიც იკვლევს ნამარხებს.

თავდაპირველად, დინოზავრის ჩონჩხი მცირე ნაწილების სახით აღმოაჩინეს ნიადაგის ქვეშ. ამ დროისათვის ნაპოვნია 200-ზე მეტი ძვალი. ეს ძვლების მთელი რაოდენობის დაახლოებით 2/3-ს შეადგენს. ჯერჯერობით, დრედნოთის თავის ქალა ნაპოვნია არ არის. მეცნიერებმა ნაწილები ააწყვეს და შექმნეს ჩონჩხის მიახლოებითი მოდელი. კომპიუტერის დახმარებით მათ აღადგინეს სურათი, თუ როგორ გამოიყურებოდა და მოძრაობდა ეს გიგანტი.

გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

შექმნეს ძვლების უფრო ზუსტი ასლებიც. საბოლოოდ, დაადგინეს, რომ დრედნოთს ძალიან გრძელი კისერი და მძლავრი, 9-მეტრიანი კუდი ჰქონდა. ის, დაახლოებით, 65 ტონას იწონიდა. ეს აღმოჩენები მომავალში დაეხმარება მეცნიერებს დიდი პრეისტორიული ცხოველების შესწავლაში.




მეცნიერთა ჯგუფი დრედნოთის ნახევრად აღდგენილ ნამარხ ძვლებთან

მეცნიერთა აზრით, აღმოჩენილი გიგანტური დინოზავრი სიკვდილის მომენტში მოზარ-

**სახალისო დავალება**

დააკვირდი სქემას და უჯრიან რვეულში შეადგინე დიაგრამა მასზე გამოსახული სხეულების მასის მიხედვით.



დი იყო. მისი ძვლები ზრდას კიდევ განაგრძობდა. დრედნოთი რალაც დიდი კატასტროფის შედეგად დაიღუპა. არავინ იცის, რამხელა იქნებოდა ის, როცა გაიზრდებოდა. თუმცა მოზარდიც კი დედამინაზე აღმოჩენილ ცხოველებს შორის, ჯერჯერობით, უდიდესია.

**სახალისო დავალება: გახდი მეცნიერ-პალეონტოლოგი**

ყურადღებით დააკვირდი ქვემოთ მოცემულ დინოზავრების ჩონჩხებს. შეარჩიე მათგან ერთ-ერთი. წარმოიდგინე, რომ ცნობილი პალეონტოლოგი ხარ და ჩონჩხის მიხედვით უნდა აღადგინო, როგორ გამოიყურებოდა დინოზავრი სიცოცხლეში. დახატე (ან გამოძერწე) შენ მიერ აღდგენილი მოდელი და მიუწერე:

- როგორ გარემოში ცხოვრობს?
- როგორია მისი სხეულის ზომები (სიმაღლე, სიგრძე, მასა...)?
- რით იკვებება?

შემდეგ შეგიძლია მოიძიო ინფორმაცია შენ მიერ არჩეულ ჩონჩხზე ან მოძებნო მისი აღდგენილი ვარიანტი და შეადარო საკუთარ ნამუშევარს.


წარმატებას გისურვებ!



**გამრავლებას**, როგორც მათემატიკურ მოქმედებას, ერთი საოცარი თვისება აქვს: თუ რაიმე რიცხვს რამდენჯერმე ზედიზედ ერთსა და იმავე რიცხვზე გაამრავლებ, მიღებული შედეგები წარმოუდგენელი სისწრაფით გაიზრდება. მაგალითად:  $2 \times 2 = 4$ ,  $4 \times 2 = 8$ ,  $8 \times 2 = 16$ ,  $16 \times 2 = 32$ ,  $32 \times 2 = 64$ ,  $64 \times 2 = 128$ ,  $128 \times 2 = 256$  და ა. შ. გამრავლების ეს თვისება კარგად იციან მათემატიკის მოყვარულებმა. როგორც ძველი ინდური ლეგენდა მოგვითხრობს, გამრავლების ეს საიდუმლო სცოდნია ჭადრაკის გამომგონებელსაც ჯერ კიდევ IV საუკუნეში. ამ წესის არცოდნამ კი თურმე კინალამ გაალარბა ერთი ინდოელი ხელმწიფე...

და, – მშვიდად მიუგო სინმა.

ხელმწიფემ ბრძანა, დაეთვალათ და მიეცათ სინისთვის კუთვნილი ხორბალი. ალბათ, ვერც წარმოიდგენ, საბოლოოდ, რამდენი გამოვიდა! მსახურები დიდხანს ითვლიდნენ და ბოლოს



## ლეგენდა

ინდოეთში ცხოვრობდა ერთი ძალიან ჭკვიანი კაცი, სახელად **სინი**. დიდი ფიქრისა და შრომის შემდეგ მან გამოიგონა ჭადრაკის წინაპარი საინტერესო თამაში – **ჩატურანგა**. ის ძალიან ჰგავდა ჭადრაკს, თუმცა განსხვავდებოდა კიდევ მისგან. მას ორის ნაცვლად ოთხი მოთამაშე თამაშობდა, სვლებს კი კამათლის გაგორების მიხედვით აკეთებდნენ.

სინმა თავისი გამოგონება ხელმწიფეს მიართვა. ხელმწიფეს ძალიან მოეწონა ახალი თამაში, განსაკუთრებით კი მასში ჩაქსოვილი ბრძოლის სიბრძნე.

– რით დაგასაჩუქრო ასეთი კარგი თამაშის გამოგონებისათვის? – ჰკითხა მან სინს.

სინი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

– მინდა, იმდენი ხორბლის მარცვალი მომცეთ, რამდენიც მომიწევს, თუ ჭადრაკის დაფის პირველ უჯრაზე ერთ მარცვალს დადებენ, მეორეზე – ორს, მესამეზე – ოთხს, მეოთხეზე – რვას, მეხუთეზე – თექვსმეტს, მეექვსეზე – ოცდათორმეტს და ა. შ. ყოველ მომდევნო უჯრაზე გააორმაგებენ წინა უჯრის მარცვლების რაოდენობას. – თქვა ბოლოს თამაშის გამომგონებელმა.

ხელმწიფეს გაეცინა.

– კი, მაგრამ, ეს ძალიან მცირე ჯილდო არ არის ასეთი თამაშის შემქმნელისთვის? – იკითხა მან.

– მე მეტი არაფერი მინ-

## ჭადრაკზე


სინს ეკუთვნოდა 18.446.744.073.709.551.615 ცალი მარცვალი (ეს უზარმაზარი რიცხვი ასე იკითხება: თვრამეტი კვადრილიონ ოთხას ორმოცდაექვსი ტრილიონ შვიდას ორმოცდაოთხი ბილიონ სამოცდაცამეტი მილიარდ შვიდას ცხრა მილიონ ხუთას ორმოცდათერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი).

მსახურებმა მოახსენეს ხელმწიფეს, რომ ამდენ მარცვალს გადასაზიდად ათი ათასი უღელი ხარ-კამეჩიც არ ეყოფოდა...

არავინ იცის, საბოლოოდ, როგორ დააჯილდოეს თამაშის შემქმნელი. ამაზე ლეგენდა დუმს.

როგორც ვთქვით, ინდოეთში მოგონილ თამაშს ჩატურანგა ერქვა. შემდეგ ის სპარსეთშიც გავრცელდა **ჩატრანგის** სახელწოდებით. მალე სპარსეთი არაბებმა დაიპყრეს და ახალ თამაშს **შატრანჯი** უწოდეს. არაბებმა მაშინ მთელი ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა და ესპანეთიც კი აიღეს. არაბების მიერ შეტანილი შანტრანჯი ყველგან გავრცელდა. XI საუკუნეში თამაში ევროპელებმაც ისწავლეს. XI-XII საუკუნეებში ჭადრაკი ევროპაში ისეთი პოპულარული იყო, რომ მას რინდებსაც ასწავლიდნენ. საქართველოში ჭადრაკი, სავარაუდოდ, ინდოელმა ვაჭრებმა ან სპარსელებმა შემოიტანეს. ყოველ შემთხვევაში, იგი ჩვენთან არაბების მოსვლამდე იყო ცნობილი.

ჭადრაკი ძალიან საინტერესო თამაშია. მას ორი ადამიანი თამაშობს „თეთრი“ და „შავი“ ფიგურებით სპეციალურ დაფაზე. დაფა კვადრატის ფორმისაა და მუქი და ღია ფერის 64 უჯრა აქვს. თითოეულ მოთამაშეს 16 ფიგურა ჰყავს: მეფე, ლაზიერი, 2 ეტლი, 2 მხედარი, 2 კუ და 8 პაიკი. პარტია წაგებულად მაშინ ითვლება, როდესაც ერთ-ერთი მოთამაშის მეფე სვლას ვეღარ გააკეთებს და „ტყვედ ჩაუვარდება“ მონინააღმდეგეს.



## კითხვის-ღრმ





# ოჩოპინტრე და ოჩოდალი

მარიამ ნიკლაური



იყო და არა იყო რა,  
ტყეში ცხოვრობდა ბიჭი.  
ტყეში ხარობდა ნიფელა,  
თელა, მუხა და ფიჭვი.  
– კიდევ? – ზღმარტლი და კუნელი.  
– კიდევ? – ცხოვრობდა თხუნელა.  
– კიდევ? – ხობობი, კაკაბი,  
ტყეს არსად აჩნდა ნაკაფი.

ის ბიჭი ნადირს მწყემსავდა,  
დაუდიოდა ჯოგი.  
ერთი დაც ჰყავდა – ტყის გოგო,  
ფხიზელი, როგორც ჭოტი.

– რა ერქვათ?  
– დას – ოჩოდალი,  
ძმას კიდევ – ოჩოპინტრე!  
მონადირეებს აფრთხობდნენ,  
ბოროტებსა და ფინთებს.



მაგრამ ჩვენს პინტრე ბიჭუნას  
ძილი უყვარდა ძლიერ,  
თუ ერთს ჩათვლემდა ხის ძირას,  
ეძინა მთელი კვირა.  
იმ ბოროტ მონადირეებს  
ამ დროს სწყალობდათ ბედი:  
ხან ცხოველს კლავდნენ,  
ხან – ფრინველს,  
რალა უნდოდათ მეტი?!

გოგო კი მუდამ ფხიზლობდა,  
ქარებს ატანდა ისარს,  
რომ მონადირის ნასროლი  
არ მოხვედროდა მიზანს.

ოჩოპინტრეს და ოჩოდალს,  
ნადირთ ჯოგების მწყემსებს,  
არც გრიპი ემართებოდათ,  
არ უკეთებდნენ ნემსებს.  
– არც ზღაპრებს არ უყვებოდნენ?  
– არ დადიოდნენ ცირკში?  
– გეყოთ, დახუჭეთ თვალი და  
თავადვე ჰკითხეთ ძილში.

კითხვის-ღრმ



ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გააკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

დაგს. მოტყუებული მწერები ლორწოვან ქსელს ეწებებიან, მანათობელი ჭიაცყელები კი მათ გემრიელად შეექცევიან.

**მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მღვიმე**

მსოფლიოს ყველაზე ლამაზ მამოქვაბულად **ლეჩუგია** ითვლება. ის ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარეობს. ლეჩუგია ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ღრმა და ფართო მღვიმეა დედამიწაზე. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მღვიმის კედლები დაფარულია თაბაშირის უმცირესი ნაწილაკებისაგან შემდგარი კრისტალებით, რაც ულამაზეს ორნამენტებს ქმნის. ისინი კოლომეტრებზეა გადაჭიმული. მსოფლიოს სველიყოლებმა ლეჩუგია ერთხმად აღიარეს პლანეტის ყველაზე ლამაზ მღვიმედ.



**ყველაზე ყინულოვანი ისრისეინველითი (Eisriesenwelt) მღვიმე**

მსოფლიოში ყველაზე დიდ ყინულის მღვიმედ ითვლება. მისი გვირაბები და დარბაზები გადაჭიმულია 42 კმ-ზე. გაყინული ჩანჩქერები, ნაკადულები, მდინარეები, სტალაქტიტები და სტალაგმიტები საოცარ სანახაობას ქმნის. ყინულოვანი მღვიმის დათვალიერება მხოლოდ ჯანმრთელ და ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ. ბავშვებს და მოხუცებს კი იქ არ უშვებენ მოყინული და სრიალა ზედაპირის გამო.



პატარა ყინულის მღვიმე საქართველოშიც არის, რაჭაში. მას **საყინულეს** ეძახიან. საყინულეში ჰაერის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში 0°C-ზე დაბალია.

თუმცა მღვიმეებით დაინტერესდი დამათი დათვალიერება მოგიწევს, შეგიძლია **პრომიტეუს მღვიმეს** ესტუმრო. მას მეორენაირად **ყუმბისთავის მღვიმეს** უწოდებენ. მდებარეობს საქართველოში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ცუმბისთავში. დღეისათვის პრომიტეუს მღვიმეში აღმოჩენილია 17 დარბაზი. აქ ნახავ ლამაზ სტალაქტიტებს, სტალაგმიტებს, სტალაგნატებს, გაქვავებულ ჩანჩქერებსა და დაკიდულ ქვის ფარდებს, მიწისქვეშა მდინარეებს, მიწისქვეშა ტბებს... შეძლებ, გაისიერო ნავით, იარო საფეხმავლო ბილიკებით, მოუსმინო სასიამოვნო მუსიკას, ნახო ლაზერ-მოუ და დატკბე ულამაზესი ხედვებით.

საინტერესო მოგზაურობას გისურვებ!

**მღვიმეები და უფსკრულები**



**კითხვის ღარი**





დადიხარ. მოგზაურობ. მიწაზე მყარად აბიჯებ... ამ დროს, სწორედ შენ ქვემოთ, დედამიწის სიღრმეში, შეიძლება უზარმაზარი მღვიმეა. მასში კი მიწისქვეშა ტბებია და ჩანჩქერები. მიწისქვეშა მდინარეები მიედინება. იქ ბინადრობენ ისეთი უცნაური არსებები, რომლებსაც დედამიწის ზედაპირზე ვერსად შეხვდები.

ასეთ მღვიმეებში ჩასვლა მიწის ზედაპირზე არსებული ხვრელებით შეიძლება. ხვრელები ხშირად მცირე ზომისაა. ზოგჯერ კი ძალიან დიდა და ადვილად შესაძინევი. მღვიმეს ხშირად მტკნარი წყალი ქმნის. ის დედამიწის ქერქში არსებულ ნაპრალებში ჩაედინება. ნიადაგს რეცხავს და კიდევ უფრო აფართოებს ნაპრალებს. ეს პროცესი ათასობით წელს გრძელდება.

საქართველოში 1500-მდე მღვიმეა. მათი უმეტესობა დასავლეთშია. აღმოსავლეთ საქართველოში კი გვხვდება თრუსოს ხეობაში, მდინარე ქსნის სათავესთან, გომბორის ქედზე. მღვიმეების დიდი ნაწილი უკვე აღმოჩენილი და შესწავლილია. თუმცა, შეიძლება მომავალშიც აღმოჩნდეს დღემდე უცნობი მღვიმე.

ალბათ გინახავს გამოქვაბულის ფოტოები, სადაც ყინულის ლოლუების მსგავსი უზარმაზარი სვეტებია. ეს **სტალაქტიტებია** ან **სტალაგმიტები**. მღვიმის ჩერიდან დაკიდებულ ლოლუებს სტალაქტიტები ეწოდება. ხოლო, მიზიდან ამოზრდილს – სტალაგმიტები. ზოგჯერ სტალაქტიტი და სტალაგმიტი ერთდება და ქმნის **სტალაგნატს**, „მღვიმის ბოს“.

მღვიმეში მთელი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ტემპერატურაა. იქ მუდმივად ბნელია. ამიტომ მიწისქვეშეთის ბინადარ თევზებსა და კობორჩხალებს თვალები არ აქვთ. არც სჭირდებათ. მღვიმეებში ხშირად ღამურების კოლონიებიც ცხოვრობენ. უძველეს დროში გამოქვაბულებს ადამიანებიც აფარებდნენ თავს. ახლა მღვიმეში აღარავინ ცხოვრობს.

ყველა მღვიმე თავისებურად ლამაზია და განუმეორებელი, მაგრამ მათ შორის გამოჩენილებიც არსებობს. აი, რამდენიმე მათგანი:

### ყველაზე ღრმა

ზოგი მღვიმე ციცაბოდ ეშვება მიწის სიღრმეში და უფსკრულს წარმოქმნის. იცოდი, მსოფლიოში ყველაზე ღრმა უფსკრული საქართველოში რომ არის? მას **კრუბერის მღვიმე** (Kruber Cave) ჰქვია. მეორე-ნაირად **ყვავის გამოქვაბულსაც** უწოდებენ. აფხაზეთშია, გაგრასთან ახლოს, მთებში. ამ დროისთვის მისი სიღრმე 2191 მეტრია. თუმცა

ეს მონაცემი შეიძლება კიდევ შეიცვალოს. კრუბერის გამოქვაბული მსოფლიოში ერთადერთია, რომლის სიღრმეც 2000 მეტრს აღემატება. მსოფლიოს ყველაზე ღრმა უფსკრულის ტიტული მას 2001 წელს მიანიჭეს, როცა უკრაინელმა **სპელეოლოგებმა** 1710 მეტრის სიღრმემდე ჩააღწიეს. მანამდე ყველაზე ღრმად ითვლებოდა ლამპრეხშტოფენის მღვიმე (Lamprechtsofen, ავსტრია, 1652 მეტრი).


კრუბერის გამოქვაბულში იღებს სათავეს მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე **რეპრუა**. მისი სიგრძე სათავიდან შესართავამდე სულ 18 მეტრია.

**სპელეოლოგი** – მეცნიერი, რომელიც იკვლევს მღვიმეებს.

### ყველაზე ლამაზად მოხატული

**ალტამირას გამოქვაბული** ესპანეთშია. მისი კედლები და ქერი შავი, ნიჟელი, ყვითელი საღებავებით არის მოხატული. ნახატებზე ასახულია ბიზონებზე, ტახებზე, ირმებზე და ცხენებზე ნადირობის სცენები.

ის 1875 წელს სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს ბავშვებმა, რომლებიც იქვე თამაშობდნენ. ეს ამბავი მალე მთელ მსოფლიოს მოედო. გამოქვაბულის დასათვალიერებლად ძალიან ბევრი მნახველი მივიდა. თვით ესპანეთის მეფეც კი მიბრძანდა იქ. გავიდა რამდენიმე წელი და არქეოლოგებმა ესპანეთსა და საფრანგეთში კიდევ ბევრ ასეთ მღვიმეს მიაგნეს. თუმცა, ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობა მათ შორის ყველაზე ლამაზია.



### ყველაზე დიდი კრისტალები

**კრისტალების გამოქვაბული** მექსიკაში მდებარეობს. აქ მსოფლიოში ყველაზე დიდი კრისტალებია. ზოგი კრისტალი სიგრძით 11 მეტრის, ხოლო სიგანით 4 მეტრია და 55 ტონას იწონის. საოცარი კი ის არის, რომ მეცნიერებმა მის შესახებ 2000 წლამდე არაფერი იცოდნენ. მღვიმის ბუნებრივი ტემპერატურა +44°C-ს უდრის. ამიტომ სპეციალური აღჭურვილობის გარეშე იქ გაჩერება 10 წუთზე მეტხანს შეუძლებელია.



### მანათობელი ჭაყვლები გამოქვაბული

**მანათობელი ჭაყვლების გამოქვაბული** ახალ ზელანდიაშია. მღვიმის კედლებზე ლორწოვანი ჭაყვლები ცხოვრობენ. ისინი ერთგვარ ქსელს ქსოვენ, რომელშიც მანათობელი ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. განათებული ქსელი მწერებს იზი-



# ვინი პუჰის სახლისო და სასარგებლო რჩევები

ვინ არის ყველაზე საყვარელი და ხალისიანი დათვი? რა თქმა უნდა, **ვინი პუჰი**. ის გვართობს და გვახალისებს. თუ დააკვირდები, ნახავ, რომ ზოგჯერ ცოტა გულუბრყვილოდ და სულელურადაც კი იქცევა. მაგრამ მისი თავგადასავლები ხშირად რაღაც მნიშვნელოვანს გვასწავლის. ვინი პუჰი საინტერესო და სასარგებლო რჩევებს გვაძლევს, თუ როგორ ვიცხოვროთ, რა გავაკეთოთ, რას მოვერიდოთ... მისი სიბრძნე თითქმის ყველაფერს სწვდება და დიდი, უღრანი ტყეებიდან პირდაპირ ჩვენს გულებში გადმოდის.

მაშ, ასე. მოდი, ვნახოთ რამდენიმე რჩევა, რომლებსაც ეს საყვარელი და ხალისიანი დათვი გვთავაზობს:

### რჩევა 1. ივარჯიშე ყოველ დღით.

ხელები – მალა, ხელები – დაბლა, შეეხე იატაკს... თუ ეს არ შეგიძლია, ჯერ წვივებს შეეხე. ნელ-ნელა იატაკსაც მისწვდე. ვარჯიში ძალიან სასარგებლოა. ის კარგ ხასიათზე დაგაყენებს. შენს სხეულში სისხლი ამოძრავდება, დაძაბულობა მოგესწნება, ღამით კი კარგად დაგეძინება. ვარჯიშის შემდეგ თავლიც გაცილებით უფრო გემრიელია.



### რჩევა 2. რა საქმეებითაც არ უნდა იყო დაკავებული, არ დაგავინყდეს ფიქრისთვის დროის გამონახვა.

მეგობრებთან ერთად თამაში და თავგადასავლები მართლაც ძალიან კარგია. მაგრამ დაფიქრებას დიდი ძალა აქვს. თუ ფიქრს მიეჩვევი, უფრო გონივრულ გადაწყვეტილებებს მიიღებ, პრობლემებს ადვილად მოერევი და სწორად იცხოვრებ.



### რჩევა 3. ცხოვრება საკვირველია. უბრალოდ კი არ უნდა ელოდო მოულოდნელს, მზად უნდა იყო მის მისაღებად.

მოქნილობა ოქროს გასაღებია. შეეცადე, ყველანაირი შემთხვევა შენს სასარგებლოდ გამოიყენო. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი გამოცდილება მნიშვნელოვანია, რადგან იგი ყოველთვის რაღაცას გასწავლის.



### რჩევა 4. როგორც კი შეძლებ, ცოტა ნაუჭინე. თუ გინდა, ყველაფერი კარგად გააკეთო, ბევრი ენერჯია უნდა დახარჯო.

მაგრამ დახარჯულ ენერჯიას აღდგენა უნდა. საამისოდ კი ძილი საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს, როცა გძინავს, შენი გონება ამუშავებს და იმახსოვრებს დღის განმავლობაში მიღებულ ინფორმაციას.



ციას. თუ ძილი დაგაკლდება, ეს შენს მეხსიერებაზე ცუდად იმოქმედებს, აფორიაქებული იქნები და სწორ გადაწყვეტილებებსაც ვერ მიიღებ.

### რჩევა 5. ცხოვრება თავისი გზით მიდის. ზოგჯერ ყველაზე კარგი ისაა, რომ ღრმად ჩაისუნთქო, მერე ამოისუნთქო და მშვიდად გააგრძელო ცხოვრება.

ნუ იდარდებ და ინუნუნებ იმაზე, რასაც ვერაფერს მოუხერხებ. ამის ნაცვლად ყურადღება გაამახვილე ისეთ რაღაცაზე, რაც შენს ხელშია. რისი შეცვლაც, რაზე ზემოქმედებაც შეგიძლია.



### რჩევა 6. დაუთმე დრო ბუნების შესწავლას, მასთან ურთიერთობას.

ბუნება საუკეთესო მასწავლებელია. მასზე დაკვირვებით უამრავ საინტერესო რამეს გაიგებ. ბოლოს და ბოლოს, თავლიც ხომ უნდა გაჩნდეს საიდანდაც?



### რჩევა 7. უპირობოდ შეიყვარე ყველა. ყველა არსებას გაუღე გული და აგრძნობინე, რომ ის საჭიროა.

ვინ იცის, რამდენად სჭირდებათ მათ შენი მხარდაჭერა? ხშირად უბრალო თანადგომასაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.



### რჩევა 8. როცა ეჭვები მოსვენებას არ გაძლევს, კარგად ისადილე.

სადილი საუკეთესო რამეა. ის ნამდვილი სიამოვნებაა, რომელიც სტრესს ხსნის და განწყობას აუმჯობესებს.



### რჩევა 9. აქტიურად იცხოვრე და არ მოდუნდე.

ცხოვრება ზოგჯერ სტრესით არის სავსე. მაგრამ თუ შენ უკეთესი მომავლის იმედი გაქვს და პრობლემებს ცოტა უზრუნველად უყურებ, უკეთესია. არასოდეს მოეშვა! გჯეროდეს, გრძელი დღის ბოლოს სადმე აუცილებლად თავლი გელოდება.

### რჩევა 10. ნურასოდეს დაივიწყებ მეგობრებს.

გახსოვდეს, ცხოვრებაში მათზე უკეთესი, მათზე ძვირფასი არც არაფერი გაქვს.

აი, ეს არის ვინი პუჰის რამდენიმე საინტერესო და სახალისო რჩევა.

რომელია მათგან შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?



შენც ხომ არ გაქვს შენი საკუთარი წესი, სასარგებლო რჩევა, რომელიც აქ არ წერია და რომელსაც სხვას სიამოვნებით გაუზიარებ?

## კითხვის-დრო





# ყვავილეების ვაზა



## მომზადების პროცესი:

### პირველი საფეხური

ეზოში ან ტყეში შეაგროვე ჩვეულებრივი ხის ხმელი ტოტები. ისინი უნდა იყოს არც ძალიან მსხვილი, არც ძალიან წვრილი და, რაც მთავარია, არც ძალიან ხმელი.




### მეორე საფეხური

გაზომე თუნუქის ყუთის სიმაღლე და ჩაინერე ფურცელზე. შემდეგ პატარა ხერხით ტოტები დაჭერი თანაბარი ზომის ჯოხებად, როგორც ეს ფოტოზეა ნაჩვენები. თუ ხერხი არ გაქვს, შეგიძლია, ტოტები ხელითაც გადატეხო. შეიძლება, ჯოხები ოდნავ განსხვავებული ზომის გამოვიდეს, მაგრამ ამას არა უშავს. რაც მთავარია, ისინი თუნუქის ყუთზე ოდნავ მაღალი უნდა იყოს.



### მესამე საფეხური

გაზომე კონსერვის ქილის გარშემოწერილობა და ჩაინერე. შემდეგ აილე თოკი.



## საჭირო მასალა და ხელსაწყოები

- ❖ ხის ხმელი ტოტები
- ❖ თუნუქის კოლოფი/კონსერვის ცარიელი ქილა – 1 ცალი
- ❖ მსხვილი სელის თოკი – 3 მეტრი
- ❖ ჯვალის ქსოვილი
- ❖ წებო „ემულსია“ – 1 კოლოფი
- ❖ მაკრატელი
- ❖ ხელის ხერხი

მოაჭერი მას, დაახლოებით, ერთი მეტრი. თოკი შემოახვიე ჯოხს და მჭიდროდ განასკვე. მერე მეორე ჯოხი დაამაგრე და ასე გააგრძელე, ვიდრე კოლოფის გარშემოწერილობის ტოლი „მესერი“ არ გამოგივა. შემდეგ ასევე დაამაგრე ჯოხების მეორე ბოლოებიც.

### მეოთხე საფეხური

ჯვალის ქსოვილისგან გამოჭერი ისეთი ზომის ნაჭერი, რომ კონსერვის ქილას გარშემო შემოსწვდეს. ქილას ნაუსვი წებო „ემულსია“. შემოახვიე ქსოვილის ნაჭერი და ხელით კარგად დაამაგრე, რომ დაენებოს. შემდეგ ცოტა ხანს დადგი გასაშრობად.



### მეხუთე საფეხური

როდესაც წებო შეშრება, ქილას ქსოვილის ზემოდან შემოაკარი ჯოხების „მესერი“ და მჭიდროდ დაამაგრე დარჩენილი თოკით. თოკის ბოლოებით შეკარი ბაფთა და ვაზა კიდევ უფრო ლამაზი გამოვა. შეგიძლია, შიგ ჩაანყო ხმელი ყვავილები, ან ჩაასხა წყალი და ჩადო ცოცხალი ყვავილების თაიგული, ან, სულაც, ჩაყარო მინა და ჩარგო ოთახის მცენარე.

წარმატებას გისურვებ!



## კითხვის-ღრმ

